დამტკიცდა აკადემიური საბჭოს 2023 წლის 28 დეკემბრის N13 სხდომის გადაწყვეტილებით

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება

თავი I ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მოქმედების სფერო და მიზნები

1.1. ეს დებულება განსაზღვრავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის (შემდგომში ფაკულტეტი) სადისერტაციო საბჭოს შედგენისა და საქმიანობის წესს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევის წესს, დოქტორის კვალიფიკაციის/აკადემიური ხარისხის მინიჭების კრიტერიუმებს, დოქტორანტურაში მიღების წესს, და ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელ(ებ)ის ძირითად ფუნქციებსა და მოვალეობებს, დოქტორანტურის ამოცანებს, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წესს, ხოლო ამ საკითხებთან დაკავშირებული დავების წარმოშობის შემთხვევაში, მათი გადაჭრისა და მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესს;

1.2. დოქტორანტურის ძირითადი ამოცანაა, უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის სასწავლო და კვლევითი პოტენციალის განვითარებას;

1.3. სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება დოქტორის კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი, იმ შემთხვევაში, თუ მან:

ა) განახორციელა ორიგინალური კვლევა, რომელიც აფართოებს ცოდნის საზღვრებს და რომლის შედეგებიც გამოქვეყნდა სამეცნიერო სტატიის სახით სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებში, რომელიც შეესაბამება ამავე დებულების მე-11 პუნქტში მოყვანილ მოთხოვნებს;

ბ) წარმატებით შეასრულა პროგრამით განსაზღვრული ყველა სხვა მოთხოვნა.

1.4. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების ბაზაზე;

1.5. ფაკულტეტს ასევე შეუძლია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა განახორციელოს უნივერსიტეტის პარტნიორ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, კლინიკების ან სხვა ორგანიზაციების ბაზაზე, სადაც მიმდინარეობს შესაბამისი დარგის კვლევები, უნივერსიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულების/მემორანდუმის საფუძველზე;

1.6. ფაკულტეტი შესაძლოა ახორციელებდეს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებს საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების გაცვლას ან ერთობლივი (joint, double) კვალიფიკაციის/ხარისხის მინიჭებას.

მუხლი 2. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო

2.1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო (შემდგომში - სადისერტაციო საბჭო) არის დოქტორის კვალიფიკაციის/აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო;

2.2. სადისერტაციო საბჭო იქმნება ყოველი კონკრეტული დისერტაციის განხილვისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციისა მინიჭების მიზნით;

2.3. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოები შედგება ფაკულტეტის შესაბამისი დარგის/სპეციალობის ყველა პროფესორის, ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორისგან, აგრეთვე ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის (ასეთის

არსებობის შემთხვევაში) შესაბამისი დარგის/სპეციალობის უფროსი მეცნიერი თანამშრომლისა და მთავარი მეცნიერი თანამშრომლისაგან რომელთაც აქვთ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ სამეცნიერო ხელმძღვანელი, თანახელმძღვანელ(ებ)ი და რეცენზენტ(ებ)ი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საერთაშორისო შეთანხმებით ან/და სხვა პარტნიორული ხელშეკრულებით დადგენილია და შეთანხმებულია განსხვავებული პირობები;

2.4. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა შედიოდეს, ადგილობრივი ან საერთაშორისო საგანმანათლებლო ან კვლევითი დაწესებულებიდან მოწვეული წევრი/წევრები. მოწვეული წევრი უნდა იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ან მასთან გათანაბრებული შესაბამისი დარგის წარმომადგენელი მკვლევარი/აკადემიური პერსონალი/მეცნიერი თანამშრომელი, რომელსაც დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი/ები, რომლებიც შეესაბამება დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის ზოგად თემატიკას/მიმართულებას. მისი მოწვევა უნდა მოხდეს შემდეგი წესის დაცვით: დარგობრივი კომისია მოიძიებს სადისერტაციო საბჭოს პოტენციურ წევრს და მისი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, დამტკიცების მიზნით წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს მის კანდიდატურას სადისერტაციო საბჭოს წევრობის სხვა კანდიდატურებთან ერთად; მოწვეულ წევრთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სადისერტაციო საბჭოში უნივერსიტეტიდან წარმოდგენილ წევრთა რაოდენობას;

2.5. სადისერტაციო საბჭოს წევრობისა და რეცენზენტების კანდიდატთა სიას ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს შესაბამისი დარგობრივი კომისია. ასევე, დარგობრივი კომისია ფაკულტეტის საბჭოს ასარჩევად წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურას და მისი არყოფნის შემთხვევაში თავჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის კანდიდატურას. სადისერტაციო საბჭოს წევრებისა და რეცენზენტების შერჩევისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მინიმუმ ერთი გარე (უნივერსიტეტთან არააფილირებული) პირის მონაწილეობა სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესში;

2.6. იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო ნაშრომის შესრულება და დაცვა ხდება ინგლისურ ენაზე, სადისერტაციო საბჭოს წევრებს უნდა ჰქონდეთ ინგლისური ენის კომპეტენცია. აღნიშნული კომპეტენციის დადგენა და პასუხიმგებლობა ეკისრება დარგობრივ კომისიას.

2.7. შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, დოქტორანტს უფლება აქვს, აცილება მისცეს სადისერტაციო საბჭოს წევრს/წევრებს, რა შემთხვევაშიც ის არგუმენტირებულ განცხადებას წერს ფაკულტეტის დეკანის სახელზე. განცხადება განიხილება დარგობრივი კომისიის მიერ დეკანის მონაწილეობით. მიღებული გადაწყვეტილება ეცნობება დოქტორანტს. სადისერტაციო საბჭოს წევრი/წევრები შეიძლება შეიცვალონ იმ პრინციპით, რა პრინციპითაც ხდება სადისერტაციო საბჭოს შექმნა;

2.8. სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი;

2.9. ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული სადისერტაციო საბჭო თავისი შემადგენლობიდან საბჭოს მდივანს ირჩევს ღია კენჭისყრით, რომელიც როგორც გადაწყვეტილება, აისახება სადისერტაციო საბჭოს ოქმში;

2.10. სადისერტაციო საბჭოს სხდომის მიმდინარეობა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი. ოქმს თან ახლავს ასევე, სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხელმოწერები.

მუხლი 3. დარგობრივი კომისია

3.1. დარგობრივი კომისიები იქმნება ფაკულტეტის საბჭოს მიერ ფაკულტეტის დებულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად დარგის და მიმართულებების მიხედვით და შედგება უნივერსიტეტის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პროფესორებისაგან, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორებისგან. დარგობრივი კომისიის წევრებს უნდა ჰქონდეთ ინგლისური ენის კომპეტენციაც. მისი თავმჯდომარე და მდივანი აირჩევა კომისიის შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით;

3.2. დარგობრივი კომისია მონაწილეობს დოქტორანტურაში მიღებასთან და სწავლასთან დაკავშირებულ პროცესებში, როგორიცაა:

ა) დოქტორანტურაში ჩაბარების მსურველების კვლევითი განაცხადების განხილვა და შეფასება, მათთან ზეპირი გამოცდის ჩატარება;

ბ) კოლოკვიუმების ფარგლებში დოქტორანტებისთვის უკუკავშირის მიწოდება მათ ანგარიშებთან და პრეზენტაციასთან დაკავშირებით;

გ) პროსპექტუსის დაცვა;

დ) სადისერტაციო საბჭოს წევრთა სიის,თავმჯდომარის კანდიდატურის და მისი არყოფნის შემთხვევაში თავჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის კანდიდატურას წარდგენა ფაკულტეტის საბჭოსათვის;

ე) სადისერტაციო ნაშრომის დაცვისათვის რეცენზენტების შერჩევა და წარდგენა ფაკულტეტის საბჭოსათვის; ვ) დოქტორანტის პუბლიკაციის შესაბამისობის დადგენა მის სადისერტაციო თემასთან და შესაბამისი დასკვნის წარდგენა დეკანისთვის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისათვის წარდგენის მიზნით;

ზ) დოქტორანტის მიერ ხელმძღვანელის შეცვლის, თანახელმძღვანელ(ებ)ის დამატების ან ხელმძღვანელის მიერ სამეცნიერო ხელმძღვანელობაზე უარის განაცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;

თ) დოქტორანტის მიერ საკვლევი თემის სათაურის, კვლევის თემატიკის ან მიმართულების შეცვლის განაცხადის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;

ი) დოქტორანტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში მისი კვლევითი თემატიკის აქტუალობის განხილვა დოქტორანტის ხელმძღვანელის წარდგინების, კვლევითი განაცხადის, პარტნიორი ორგანიზაციის თანხმობა მატერიალური/ინტელექტუალური რესურსების გამოყენების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში), დაცული პროსპეტუსის ან/და მის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციების საფუძველზე; აღნიშნული პროცედურა ეხება იმ დოქტორანტებს, რომლებსაც 2 სასწავლო სემესტრით და უფრო ხანგრძლივი პერიოდით ჰქონდა სტატუსი შეჩერებული.

კ) ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამების სტუდენტთა სადისერტაციო ნაშრომის ინგლისურ ენაზე შესრულებისა და დაცვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

3.3. საერთაშორისო შეთანხმებით ან/და სხვა პარტნიორული ხელშეკრულების შემთხვევაში შესაძლებელია დადგინდეს ამ მუხლის 3.1. და 3.2. პუნქტებით განსაზღვრული პირობებისგან განსხვავებული პირობები.

მუხლი 4. ადმინისტრაციული მხარდაჭერა

სადისერტაციო საბჭოს და დარგობრივი კომისიების ადმინისტრაციულ მხარდაჭერას ისევე, როგორც ყველა სახის საქმისწარმოებას უზრუნველყოფს ფაკულტეტის ადმინისტრაცია.

თავი II. დოქტორანტურაში მიღება

მუხლი 5. დოქტორანტურაში სწავლის უფლება

დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

მუხლი 6. დოქტორანტურაში მიღება

6.1. დოქტორანტურაში მიღებას, ფაკულტეტის საბჭოს ან დეკანის წარდგინების საფუძველზე, აცხადებს რექტორი. მიღება შეიძლება გამოცხადდეს როგორც შემოდგომის, ისე გაზაფხულის სემესტრისათვის. დოქტორანტურაში სწავლის მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) შევსებული სააპლიკაციო ფორმა;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ფლობის დამადასტურებელი საბუთის ასლი (ხუთწლიანი უმაღლესი განათლების დიპლომის ან უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომის შესაბამისობა დადასტურებული უნდა იყოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ);

დ) ავტობიოგრაფია (CV);

ე) 3X4–ზე ფოტოსურათის ელ.ვერსია;

ვ) შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე მიღებისთვის დამტკიცებული, აპლიკანტის მიერ შევსებული და მისი პოტენციური ხელმძღვანელის ხელმოწერილი კვლევითი განაცხადი და თანხმობის ფორმა (განაცხადის ფორმები განთავსებული უნდა იყოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე, პროგრამაზე ყოველი მიღების გამოცხადებისთანავე).

ზ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ ვაჟებისთვის)

თ) სხვა დოკუმენტები/პირობები, რომელსაც შეიძლება ითხოვდეს ცალკეული პროგრამა.

6.2. დოქტორანტობის კანდიდატები აბარებენ გამოცდას ინგლისურ ენაში (მინიმუმ B2 დონე). ტესტირების მინიმალური ზღვარი დგინდება ყოველი პროგრამისთვის ინდივიდუალურად, მიეთითება პროგრამაზე მიღების პირობებში და მიღების გამოცხადების შესახებ ფაკულტეტის წარდგინებაში;

6.3. ინგლისური ენის გამოცდისგან თავისუფლდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც წარმოადგენენ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ ვალიდურ საერთაშორისო სერტიფიკატს/დოკუმენტს ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემულ შესაბამის ვალიდურ სერტიფიკატს/დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს კანდიდატის ენის კომპეტენციას პროგრამით გათვალისწინებული მინიმუმ B2 დონეზე. გამოცდისგან ტესტისაგან თავისუფლდებიან აგრეთვე ის აპლიკანტები, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს ფარგლებს გარეთ ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელ დიპლომს (დიპლომთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი - უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ). ასევე, ის პირები, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოში ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის

დასრულების დამადასტურებელ დიპლომს და დანართს ან ცნობას პროგრამის განხორციელების ენის შესახებ;

6.4. ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი ვალიდური სერტიფიკატების/დოკუმენტის შესაბამისი დონეები და ქულები გაწერილია ცალკეული პროგრამების მარეგულირებელ დოკუმენტებში;

6.5. ინგლისური ენის გამოცდის წარმატებით ჩაბარების ან ცოდნის დადასტურების შემდეგ კანდიდატების მიერ პროგრამაზე წარმოდგენილი კვლევითი განაცხადი და სხვა დოკუმენტები/ფორმები იგზავნება შესაბამისი დარგობრივი კომისიის წევრებთან განსახილველად და შესაფასებლად. პოტენციური ხელმძღვანელი კანდიდატის შეფასებაში არ იღებს მონაწილეობას. განაცხადის მოთხოვნები, შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები დგინდება ყოველი პროგრამისთვის ინდივიდუალურად და განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე ყოველი მიღების გამოცხადებისთანავე. დამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში, აპლიკანტი დარგობრივ კომისიას აბარებს ზეპირ გამოცდას;

6.6. დარგობრივი კომისიის მიერ ზეპირი გამოცდის შეფასება ხდება წინასწარ განსაზღვრული მოთხოვნების, კრიტერიუმების და რუბრიკების მიხედვით. ზეპირი გამოცდის მოთხოვნები, კრიტერიუმები და რუბრიკები ყოველი პროგრამისთვის დგინდება ინდივიდუალურად და განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე ყოველი მიღების გამოცხადებისთანავე;

6.7. სადოქტორო პროგრამის აპლიკანტის ერთიანი სარეიტინგო ქულა დაანგარიშდება სადოქტორო პროგრამაზე მიღების დოკუმენტში განსაზღვრული წესის შესაბამისად. ხოლო შეფასების შედეგები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

6.8. პარტნიორული, ადგილობრივი ან საერთაშორისო თანამშრომლობის შემთხვევაში, შესაძლებელია დადგინდეს ამ მუხლით განსაზღვრულისგან განსხვავებული მოთხოვნები.

მუხლი 7. მობილობა დოქტორანტურაში

7.1. დოქტორანტურაში პირი შეიძლება ჩაირიცხოს მობილობით საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და საუნივერსიტეტო წესის მიხედვით, პროგრამის წინაპირობების დაცვით;

7.2. ჩარიცხვისა და კრედიტების აღიარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტი და მიღებულ გადაწყვეტილებას წარუდგენს რექტორს;

7.3. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ახორციელებს საერთაშორისო მობილობას, სასწავლო კომპონენტის ფარგლებში, მას უფორმდება შესაბამისი შეთანხმება (learning agreement). პროგრამის კომპონენტებში შეთანხმებით განსაზღვრული კრედიტების გათვალისწინება ხდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ კრედიტების აღიარების შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი ახორციელებს საერთაშორისო მობილობას კვლევითი კომპონენტის ფარგლებში, მან ფაკულტეტზე უნდა წარადგინოს თავისი ხელმძღვანელის და თანახელმძღანელის მიერ ხელმოწერილი კვლევის გეგმა (research agenda);

7.4. პარტნიორული, ადგილობრივი ან საერთაშორისო თანამშრომლობის შემთხვევაში, შესაძლებელია დადგინდეს ამ მუხლით განსაზღვრულისგან განსხვავებული პირობები.

თავი III. დოქტორანტურაში სწავლა

მუხლი 8. სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა და მოცულობა

8.1. დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა არანაკლებ 3 და არა უმეტეს 5 წელია, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ინდივიდუალური გეგმით. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ვერ

ასრულებს პროგრამის მოთხოვნებს 5 წლის დასრულების შემდეგ, მას შეიძლება გაუფორმდეს დამატებითი, მაქსიმუმ ერთწლიანი ფასიანი ხელშეკრულება დარგობრივი კომისიის შუამდგომლობის საფუძველზე, შესაბამისი პირობების გათვალისწინებით;

8.2. სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები, მათი თანმიმდევრობა და მოცულობა კრედიტებში (სადაც რელევანტურია) განისაზღვრება ინდივიდუალურად, ყოველი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის;

8.3. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი არ უნდა აღემატებოდეს 60 კრედიტს;

8.4. უნივერსიტეტში შეიძლება არსებობდეს ერთობლივი (მაგ. joint degree, double degree) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა პირობები განისაზღვრება შესაბამისი დოკუმენტებით (ხელშეკრულებები, მემორანდუმები, კურიკულუმები და ა.შ.).

მუხლი 9. სამეცნიერო ხელმძღვანელი

9.1. სამეცნიერო ხელმძღვანელი უნდა იყოს უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, პროფესორ-ემერიტუსი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი, დოქტორანტის საკვლევი მიმართულების შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება და არის უახლესი ცოდნით აღჭურვილი; დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის ზოგად თემატიკას/მიმართულებას;

9.2. იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო ნაშრომის შესრულება და დაცვა ხდება ინგლისურ ენაზე, სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს ინგლისური ენის კომპეტენციაც; აღნიშნული კომპეტენციის დადგენა და პასუხიმგებლობა ეკისრება დარგობრივ კომისიას.

9.3. დარგობრივი კომისია, აპლიკანტის შევსებული კვლევითი განაცხადის, პოტენციური ხელმძღვანელის მიერ შევსებული თანხმობის ფორმის საფუძველზე, განიხილავს და ამტკიცებს ხელმძღავნელს, 9.1 და 9.2 პუნქტებში განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით.

9.4. დოქტორანტობის კანდიდატის სამეცნიერო ხელმძღვანელობაზე თანხმობას ხელმძღვანელი ადასტურებს სადოქტორო განაცხადის შესაბამის ფორმაზე ხელმოწერით. სადოქტორო პროგრამაზე კანდიდატის ჩარიცხვის შემთხვევაში, ხელმძღვანელი ერთვება დოქტორანტის სწავლის და კვლევის პროცესში.

9.5. საჭიროების შემთხვევაში, დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი;

9.6. შესაძლებელია დოქტორანტის მეორე ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი მოწვეული იყოს სხვა, მათ შორის უცხო ქვეყნის, აკადემიური დაწესებულებიდან, საერთაშორისო თანამშრომლობის შეთანხმების ფარგლებში ან დარგობრივი კომისიის გადაწყვეტილებით. მეორე ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი უნდა აკმაყოფილებდეს ხელმძღვანელისთვის განსაზღვრულ ყველა საკვალიფიკაციო მოთხოვნას;

9.7. იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი, უარს ამბობს დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე/თანახელმძღვანელობაზე, მან არგუმენტირებული, წერილობითი განცხადება უნდა წარუდგინოს ფაკულტეტის დეკანს, რომელსაც დეკანი განსახილველად წარუდგენს დარგობრივ კომისიას. იმ შემთხვევაში, თუ დარგობრივი კომისია დააკმაყოფილებს ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელის განცხადებას, დოქტორანტს უნიშნავს ახალ

ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს. დარგობრივი კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილება ეცნობება ხელძღვანელს/თანახელმძღვანელს;

9.8. სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შეცვლის სურვილის შემთხვევაში, დოქტორანტმა არგუმენტირებული მოთხოვნით, წერილობით უნდა მიმართოს ფაკულტეტის დეკანს, რომელსაც დეკანი განსახილველად წარუდგენს დარგობრივ კომისიას. იმ შემთხვევაში, თუ დარგობრივი კომისია დააკმაყოფილებს დოქტორანტის განცხადებას, დოქტორანტს უნიშნავს ახალ ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს. დარგობრივი კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილება ეცნობება დოქტორანტს;

9.9. სამეცნიერო ხელმძღვანელის ძირითადი ფუნქციები და მოვალეობებია:

9.10. სამეცნიერო ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები აქვს დოქტორანტურის სტუდენტთან. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება პროგრამისა და საკვლევი თემის სპეციფიკას. კონსულტაცია მოიცავს დოქტორანტის პროგრესზე პერიოდულ უკუკავშირს, ზოგადი სამეცნიერო რჩევების მიცემას, კვლევის მეთოდოლოგიისა და დიზაინის შერჩევას, პროექტის მენეჯმენტში დახმარებას, ასევე თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში (მათ შორის, სადოქტორო კოლოკვიუმებში) მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესში დახმარებას; აგრეთვე სამეცნიერო სტატიების რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნების შესახებ რჩევების მიცემას. სამეცნიერო ხელმძღვანელი წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის შესახებ დასკვნას და უკუკავშირს;

9.11. თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მხარდაჭერას უწევს დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების პროცესში, ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან შეთანხმების საფუძველზე;

9.12. 9.6 პუნქტში განსაზღვრულ შემთხვევაში, შესაძლებელია გაფორმდეს შესაბამისი შეთანხმება (მაგ. cotuttelle, joint supervision agreement), რომელშიც დასაშვებია განისაზღვროს ხელმძღვანელობის ამ მუხლისგან განსხვავებული პირობები.

თავი IV. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა, დაცვა და ხარისხის მინიჭება

მუხლი 10. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის პროცედურა

10.1. დოქტორანტმა სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება სამეცნიერო პუბლიკაციის სტანდარტებს და შესრულებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილის ან კონკრეტული პროგრამის სადოქტორო ნაშრომის კონცეფციით განსაზღვრული, დარგისთვის რელევანტური აკადემიური სტილის შესაბამისად, ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად და ელექტრონული სახით უნდა წარუდგინოს ფაკულტეტის ადმინისტრაციას;

10.2. დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ან ინგლისურ ენაზე. ინგლისურ ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს (გარდა ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის შემთხვევისა) წყვეტს დარგობრივი კომისია.

10.3. დისერტაციაში ნაწილის სახით უნდა შევიდეს შემაჯამებელი აბსტრაქტი ინგლისურ ენაზე, რომელშიც წარმოდგენილია სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი სამეცნიერო შედეგები, დასაბუთებულია მათი სამეცნიერო სიახლე, ღირებულება და აქტუალობა შესაბამის სამეცნიერო დისციპლინაში. იმ შემთხვევაში, თუ ნაშრომი შესრულებულია ინგლისურ ენაზე, დისერტაციაში აბსტრაქტი უნდა იყოს როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენებზე.

10.4. ფაკულტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს, რომ სადისერტაციო ნაშრომს დაერთოს:

ა) ცნობა დაგროვებული კრედიტების შესახებ;
ბ) ხელმოწერილი განაცხადი, რომ სადისერტაციო ნაშრომი დოქტორანტის დამოუკიდებელი კვლევის შედეგია და არ შეიცავს პლაგიატს;
გ) დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის, ასევე თანახელმძღვანელის დასკვნა სადისერტაციო ნაშრომის დაცვისთვის მზაობის შესახებ;
დ) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და შესაბამისი დარგობრივი კომისიის დასკვნები დოქტორანტის საერთაშორისო პუბლიკაციის/პუბლიკაციების ამ დებულებით (11.1) განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;
10.5. სადისერტაციო ნაშრომი შეიძლება ასევე წარმოადგენდეს გამოქვეყნებული ნაშრომების კომპილაციას, თუ (1) დოქტორანტს აქვს სადისერტაციო თემით გამოქვეყნებული სულ ცოტა 4 სამეცნიერო სტატია Clarivate Analytics Web of Science-ის ბაზაში შემავალ 0.5-ზე მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე თემატურ ჟურნალში, ან Scopus-ის ნუსხაში შემავალ 0.5-ზე მაღალი ციტირების ქულის (CiteScore) მქონე თემატურ ჟურნალში, (2) აქედან ორ ან მეტ სტატიაში დოქტორანტო უნდა იყოს პირველი ავტორი. ამ შემთხვევაში დოქტორანტმა უნდა მოამზადოს (ა) თავფურცელი, სადაც მოცემულია დისერტაციის სათაური, დისერტაციის ავტორი, მისი მისამართი და სამუშაო ადგილი, ხელმძღვანელი ან ხელმძღვანელები, მადლობები და თანდართული შრომების ნუსხა; (ბ) დისერტაციის ვრცელი აბსტრაქტი ქართულ ენაზე (5000-7000 სიტყვა + საჭიროებისამებრ სურათები), რომელიც მოკლედ ახასიათებს თანდართული სამეცნიერო პუბლიკაციების საერთო თემას, ზოგად მეთოდოლოგიურ მიდგომას და შედეგებს დისკუსიის სახით; (გ) ერთად აკინძული გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციების ასლები. გამოსაქვეყნებლად მიღებული პუბლიკაციის შემთხვევაში, დოქტორანტი ვალდებულია, ხელნაწერს დაურთოს წერილი რედაქციიდან, რომელიც ადასტურებს, რომ ნაშრომი მიღებულია გამოსაქვეყნებლად. სურვილისამებრ, დოქტორანტს, იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა შეადგენს 4-ს, შეუძლია დაუმატოს ამ გამოქვეყნებულ 4 სტატიას ჯერ გამოუქვეყნებელი ერთი ან ორი სტატიის ხელნაწერი. სადისერტაციო ნაშრომმა უნდა გაიაროს შიდა რეცენზირება, რომელშიც რეცენზენტმა ზოგადად უნდა მიმოიხილოს დისერტაციაში შესული გამოქვეყნებული სტატიებიც;
10.6. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენასთან და დაცვასთან დაკავშირებული ვადები ასახულია ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამების ფარგლებში შემუშავებულ კალენდარში/მატრიცაში;
10.7. საერთაშორისო შეთანხმების ან/და სხვა პარტნიორული ხელშეკრულების შემთხვევაში, შესაძლებელია დადგინდეს ამ მუხლით განსაზღვრულისგან განსხვავებული პირობები.

მუხლი 11. საერთაშორისო გამოქვეყნების ვალდებულება

11.1. დისერტაციის დაცვამდე დოქტორანტს შესაბამის სფეროში გამოქვეყნებული (ან ჟურნალის რედაქციისგან მიღებული გამოსაქვეყნებლად) უნდა ჰქონდეს სულ მცირე 2 სამეცნიერო სტატია Clarivate Analytics Web of Science - ის ბაზაში შემავალ 0.5-ზე მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე თემატურ ჟურნალში ან Scopus-ის ნუსხაში შემავალ 0.5-ზე მაღალი ციტირების ქულის (CiteScore) მქონე თემატურ ჟურნალში. სამეცნიერო პუბლიკაციაში დოქტორანტის აფილიაციაში მითითებული უნდა იყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელი;
11.2. გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან დოქტორანტი უნდა იყოს სულ მცირე ერთი სამეცნიერო სტატიის პირველი ან მეორე ავტორი. დარგობრივი კომისია ფაკულტეტს წარუდგენს შესაბამისი ჩანაწერის მქონე სხდომის ოქმს სადოქტორო ნაშრომთან პუბლიკაციების შესაბამისობის შესახებ. ასეთი შესაბამისობის დადასტურების შემთხვევაში პუბლიკაციები ეგზავნება უნივერსიტეტის ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც ამზადებს დასკვნას ამ დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან პუბლიკაციების შესაბამისობის შესახებ. დარგობრივი კომისიის ან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში საერთაშორისო გამოქვეყნების ვალდებულება არ ჩაეთვლება დოქტორანტს დაკმაყოფილებულად.

მუხლი 12. რეცენზენტების დანიშვნა და სადისერტაციო ნაშრომის შეფასება

12.1. დარგობრივი კომისიის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნების მიღების შემდეგ, გონივრულ ვადაში, დარგობრივი კომისია მიმართავს ფაკულტეტის საბჭოს სადისერტაციო საბჭოს ფორმირებისა და რეცენზენტების (მინიმუმ 2) დანიშვნის მოთხოვნით;

12.2. რეცენზენტების ნომინირებისას დარგობრივი კომისია ხელმძღვანელობს შემდეგი მოთხოვნებით:

ა) რეცენზენტები შეიძლება იყვნენ უნივერსიტეტის პროფესორი/ ასოცირებული პროფესორი/ასისტენტ-პროფესორი/ პროფესორ-ემერიტუსი/ მეცნიერ-თანამშრომელი ან მოწვეული პირები(ადგილობრივი ან საერთაშორისო საგანმანათლებლო/კვლევითი დაწესებულებიდან/კვლევითი ინსტიტუტიდან), რომლებსაც აქვთ დოქტორის აკადემიური ხარისხი, დოქტორანტის საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება და დარგის სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, არიან უახლესი ცოდნით აღჭურვილი, აქტიური მონაწილეობა აქვთ მიღებული სამეცნიერო კვლევებში ან/და გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც შეესაბამება დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის ზოგად თემატიკას/მიმართულებას. იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ინგლისურ ენაზე, რეცენზენტებს უნდა ჰქონდეთ ინგლისური ენის კომპეტენცია. აღნიშნული კომპეტენციის დადგენის პასუხიმგებლობა ეკისრება დარგობრივ კომისიას;

ბ) რეცენზენტებსა და დოქტორანტს შორის არ უნდა არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტი (მაგ. მიმდინარე პროექტებში თანამშრომლობა და სხვა), რაც რეცენზენტობის კანდიდატმა უნდა დაადასტუროს ხელმოწერილი წერილით ;

12.3. საერთაშორისო შეთანხმებით ან/და სხვა პარტნიორული ხელშეკრულების შემთხვევაში რეცენზენტთან მიმართებაში შეიძლება განისაზღვოს ამ მუხლისგან განსხვავებული პირობები;

12.4. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცესს ესწრება ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელიც აფორმებს სათანადო დოკუმენტებს;

12.5. სადისერტაციო ნაშრომი ფასდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესის შესაბამისად.

12.6. ნაშრომის შეფასებისთვის გამოიყენება შესაბამისი კრიტერიუმები, რომელიც განსაზღვრულია ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამების დოკუმენტებში;

12.7. სადისერტაციო ნაშრომის შეფასება მიმდინარეობს შემდეგი სისტემით:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.
12.8. სადისერტაციო საბჭოს წევრების მიერ სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება წევრთა მსჯელობისა და კონსენსუსის გზით;
12.9. თუ დოქტორანტმა მიიღო უარყოფითი შეფასება -,,არადამაკმაყოფილებელი“ (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო“, მან გადამუშავებული ნაშრომი უნდა წარადგინოს ერთი კალენდარული წლის განმავლობაში, მიუხედავად სტუდენტის სტატუსისა. აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი არ წარმოადგენს გადამუშავებულ ნაშრომს, დოქტორანტი აკადემიური ჩამორჩენილობის გამო გაირიცხება უნივერსიტეტიდან. ხოლო, თუ დოქტორანტმა მიიღო შეფასება - ,,სრულიად არადამაკმაყოფილებელი“ (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს“ მან უნდა წარადგინოს ახალი ნაშრომი სადისერტაციო საბჭოს მიერ დადგენილ ვადებში. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი არ წარმოადგენს ახალ ნაშრომს დადგენილ ვადებში, იგი აკადემიური ჩამორჩენილობის გამო გაირიცხება უნივერსიტეტიდან.

მუხლი 13. დისერტაციის დაცვა

13.1. დისერტაციის დაცვა არის საჯარო და ხდება სადისერტაციო საბჭოს წინაშე. დისერტაციის დაცვის შესახებ ინფორმაცია (ადგილი, დრო, თარიღი) ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე ნაშრომის დაცვამდე ერთი კვირით ადრე;
13.2. დისერტაციის დაცვის ენა არის ქართული, თუ დარგობრივი კომისიის გადაწყვეტილებით, საერთაშორისო შეთანხმებით ან/და სხვა პარტნიორული ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.
13.3. დისერტაციის დაცვის პროცესის ხანგრძლივობას და რეგლამენტს ადგენს სადისერტაციო საბჭო;
13.4. დისერტაციის დაცვის პროცესი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის წარდგენას, რეცენზიების მოსმენას, სამეცნიერო კამათს და სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებას;
13.5. ხელმძღვანელს აქვს დისერტაციის დაცვაზე დასწრების უფლება, თუმცა ის არ მონაწილეობს დაცვის პროცესში. დისერტაციის და დოქტორანტის შესახებ ის მოსაზრებას გამოთქვამს იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო საბჭო მას შეკითხვით მიმართავს;
13.6. პარტნიორული, ადგილობრივი ან საერთაშორისო თანამშრომლობის შემთხვევაში, დისერტაციის დაცვის ორგანიზების საკითხი დარეგულირდება საერთაშორისო, ადგილობრივი, ან საპარტნიორო შეთანხმებით.

მუხლი 14. ხარისხის მინიჭება და გამოქვეყნების ვალდებულება

14.1. დოქტორანტს აკადემიურ ხარისხს/კვალიფიკაციას ანიჭებს სადისერტაციო საბჭო;

14.2. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილება საბოლოოა;

14.3. დოქტორანტის მიერ 12.9 პუნქტით გათვალისწინებული უფლების გამოყენების შემდეგ, სადისერტაციო საბჭოს მიერ ისევ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს უწყდება სტუდენტის სტატუსი სწავლის შედეგების მიუღწევლობის გამო;

14.4. ფაკულტეტის ადმინისტრაცია ვალდებულია, დისერტაციის დაცვის შემდეგ ერთი თვის ვადაში ატვირთოს დისერტაცია უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

14.5. დოქტორის აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი გაიცემა დისერტაციის უნივერსიტეტის ვებგვერდზე ატვირთვის შემდეგ.

თავი V. დავები, დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა და დოქტორის აკადემიური ხარისხის ჩამორთმევა

მუხლი 15. გასაჩივრების პროცედურა

დოქტორანტურაში სწავლის პროცესში წარმოქმნილ ნებისმიერ პრობლემას, დეკანის სახელზე წარგენილი წერილობითი განცხადების საფუძველზე, განიხილავს დარგობრივი კომისია.

მუხლი 16. დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა/შეჩერება

16.1. დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა ან შეჩერება ხდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელი წესისა და ამ დებულების მიხედვით;

16.2. დოქტორანტს სტუდენტის სტატუსი ასევე უწყდება თუ:

ა) თუ დოქტორანტი ზედიზედ ორჯერ ვერ დაიცავს პროსპექტუსს ან დისერტაციას, რაც ითვლება აკადემიურ ჩამორჩენილობად;

ბ) თუ დოქტორანტის მიერ დარღვეულია უნივერსიტეტში მოქმედი ეთიკის კოდექსი და სხვა საუნივერსიტეტო წესები;

გ) თუ დადასტურდა პლაგიატის ან მონაცემების გაყალბების შემთხვევა.

მუხლი 17. დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობა

17.1. სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულის მხრიდან აკადემიური და კვლევითი ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები განიხილება დარგობრივი კომისიის მიერ;

17.2. დარგობრივი კომისია, საჭიროების შემთხვევაში, შუამდგომლობით მიმართავს ფაკულტეტის საბჭოს, რათა მან შექმნას სადისერტაციო საბჭო, რომელიც იმსჯელებს დოქტორის აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის ბათილად ცნობის შესახებ.

მუხლი 18. დოქტორანტურაში სწავლის საფასური

18.1. სადოქტორო პროგრამის მოთხოვნების ამ მუხლის 18.3 პუნქტში გაწერილი ვადების შესაბამისად დაკმაყოფილების შემთხვევაში, დოქტორანტურაში სწავლა უფასოა 5 წლის განმავლობაში. სწავლა ფასიანია უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა. შესაძლებელია აგრეთვე, დოქტორანტურაში მიღება გამოცხადდეს ფასიან ადგილებზე;

18.2. დოქტორანტურაში სწავლის შესაბამისი სემესტრიდან სადოქტორო პროგრამის მოთხოვნების ვადაში შეუსრულებლობისას ამ მუხლის 18.3 პუნქტის შესაბამისად ან სწავლის მეექვსე წლიდან დოქტორანტმა უნდა გადაიხადოს იმ დროისათვის დადგენილი სწავლის საფასური;

18.3. თუ დოქტორანტს ჩარიცხვიდან და სწავლის დაწყებიდან 1 წლის შემდეგ არ ექნება დაცული პროსპექტუსი, ან ვერ დაიცავს პროსპექტუსს კომისიის წინაშე (განმეორებითი დაცვის შემდეგაც) და სწავლის მე-8 სემესტრის ბოლოს არ აქვს გამოქვეყნებული სულ მცირე ერთი პუბლიკაცია მოთხოვნების

შესაბამისად, მან უნდა გადაიხადოს სწავლის საფასური ყოველი შემდეგი სემესტრისათვის უნივერსიტეტში დადგენილი საფასურის რაოდენობითა და წესით. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით, 5 წლის შემდეგ დამატებით აფორმებს ერთწლიან ხელშეკრულებას, მას ეკისრება სწავლის გადასახადი ხელშეკრულების გაფორმების დროისთვის განსაზღვრული სწავლის გადასახადის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა ვერ შეასრულა პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები დამატებითი კონტრაქტის დასრულების შემდეგ, მას უწყდება სტუდენტის სტატუსი.

თავი VI. გარდამავალი დებულებები

მუხლი 19.

19.1. ამ დებულების მე-11 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები ეხება წინა წლებში ჩარიცხულ დოქტორანტებსაც.

19.2. ამ დებულების 11.2 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების (სამეცნიერო პუბლიკაციის პირველი ან მეორე ავტორობა, შესაბამისობა სადისერტაციო ნაშრომთან) დაკმაყოფილებისაგან შეიძლება გათავისუფლდეს:

ა) 2008 წლის 20 მარტიდან 2015 წლამდე ჩარიცხული ყველა მიმართულების დოქტორანტი, რომელიც წარმოადგენს 11.1 პუნქტით განსაზღვრულ ჟურნალებში გამოქვეყნებულ 2 (ორ) სამეცნიერო სტატიას;

ბ) 2008 წლის 20 მარტამდე ჩარიცხული ყველა მიმართულების დოქტორანტი, რომელიც წარმოადგენს 11.1 პუნქტით განსაზღვრულ ჟურნალებში გამოქვეყნებულ 1 (ერთ) სამეცნიერო სტატიიას.

19.3. პროგრამით განსაზღვრული სწავლის ვადის ამოწურვის შემთხვევაში, 2015 წლამდე ჩარიცხულ დოქტორანტებთან ახალი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ამოქმედდეს წინამდებარე დებულების მე-11 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები.